საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 2205/01
07/03/2022

2205-01-2-202203071757

შპს „გეო ენერჯის“

მის: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი,

მ. ალექსიძის ქ. N 3, ბლოკი ბ, ბ. 48

ელ.ფოსტა: b.kharati@iahoo.com

ასლი: კრწანისის რაიონის გამგეობას

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია თქვენი 2022 წლის 14 თებერვლის N 2562 განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში ფონიჭალის მიმდებარე ტერიტორიაზე ფეროშენადნობების ქარხნის მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის ანგარიშს.

რამდენადაც თქვენთვის ცნობილია, წარმოდგენილ სკოპინგის ანგარიშზე, სკოპინგის დასკვნის გაცემის მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, 2022 წლის 9 მარტს 14:00 საათზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის გამგეობის შენობაში ჩანიშნული იყო საჯარო განხილვა.

მიმდინარე წლის 4 მარტს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კრწანისის რაიონის გამგეობიდან წარმოდგენილი იქნა N39-01220632963 კორესპონდენცია, რომელსაც დანართის სახით თან ერთვის, ქ. თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს წერილი N16-01220631965. წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საპროექტო ტერიტორიაზე (ს/კ №01.18.13.033.132; №01.18.13.033.133) „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, ვრცელდება სამრეწველო ზონა 1 (ს-1), ს/კ №01.18.13.033.132 მცირედ ნაწილზე ვრცელდება სატრანსპორტო ზონა 1(ტზ-1). „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად, სამრეწველო ზონა (ს-1) წარმოადგენს შერეულ სამრეწველო ქვეზონას და მოიცავს თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში არსებულ/დაგეგმილ საწარმოო და სამრეწველო გამოყენების ტერიტორიებს; **ს-1-ში განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს სამრეწველო ობიექტები, რომლებშიც არ მიმდინარეობს გარემოსა და**

ადამიანის ჯანმრთელობისათვის სახიფათო/მავნე საწარმოო პროცესები; შესაძლებელია ს-1-ის ფუნქციონირებისათვის უზრუნველმყოფი საზოგადოებრივი შენობების/სამყოფების არსებობა არაუმეტეს საერთო ოდენობის 25%-ის, კანონმდებლობის შესაბამისად; ასევე სასაწყობო, ელექტროქვესადგურებისა და წყლის რეზერვუარებისათვის განკუთვნილი ობიექტების განთავსება. სპეციალური ზონა-ში (ს-1), სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმების საფუძველზე, საგამონაკლისო დასაშვებ სახეობას წარმოადგენს სატრანსპორტო საშუალებების მომსახურების ობიექტი. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, ტერიტორიაზე მოქმედ ფუნქციურ ზონაში **ს-1-ში ფეროშენადნობი ქარხანა არ წარმოადგენს არც დასაშვებ და არც საგამონაკლისო წესით დასაშვებ სახეობას. ამასთან, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია მოცემულ ტერიტორიაზე ფუნქციური ზონის ცვლილებას არ განიხილავს.**

აღნიშნულ კორესპონდენციაზე დაყრდნობით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კრწანისის რაიონის გამგეობას, სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის ჩატარება მიზანშეუწონლად მიაჩნია.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამინისტრო წყვეტს ადმინისტრაციულ წარმოებას. შესაბამისად, 2022 წლის 9 მარტს 14:00 საათზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის გამგეობის შენობაში დაგეგმილი შპს „გეო ენერჯის“ ფეროშენადნობების ქარხნის მოწყობისა და ექსპლუატაციის **სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა აღარ გაიმართება.**

დანართი:

1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კრწანისის რაიონის გამგეობის N39-01220632963 წერილი.

2. ქ. თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს წერილი N16-01220631965.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე